სკეკი თოგეოსის ბრისკი ვინდი

276
~~196~~
195

№ 287 1 195

№ 287 1 195

ეროვნული ბიბლიოთეკა
National Library of Georgia

დასკანირებულია
16.01.2025 (13)

13.

„ [illegible] ", 19/VII-1963

მგზნებარე პუბლიცისტური ნაწერები

ახალი წიგნების სამყაროში

სერგეი მესხის სახელი მჭიდროდ არის დაკავშირებული მე-19 საუკუნის 70-80-იან წლებში გაზეთ „დროების" გამოცემის დიდ ეროვნულ საქმესთან. ი. ჭავჭავაძის „ივერიის" გამოსვლამდე იგი სათავეში ედგა ქართველი ხალხის ბრძოლას სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის, მკაფიოდ გამოხატავდა საქართველოს იმდროინდელი ცხოვრების მაჯისცემას, ითვლებოდა მისი წინსვლისა და განვითარების თავგამოდებულ მებრძოლად. მთელი თოთხმეტი წლის განმავლობაში ს. მესხი იყო არა მხოლოდ უბრალო რედაქტორ-გამომცემელი, არამედ გაზეთის ჭეშმარიტი სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი.

ფართო მკითხველისათვის დღემდე მიუწვდომელი იყო ამ შესანიშნავი ადამიანის მგზნებარე პუბლიცისტური ნაწერები. არ მოგვეპოვებოდა მისი თხზულებების რამდენადმე სერიოზული კრებულიც კი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ 1903 წელს ს. ფირცხალავას მიერ განხორციელებულ გამოცემას, რომელიც ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად გადაიქცა და ვერც თანამედროვეობის გაზრდილ მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

ამიტომ კარგ საქმედ უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" მიერ გადადგმული ნაბიჯი — სერგეი მესხის თხზულებათა სრული სახით გამოშვება. განსაზღვრულია სამტომეულის გამოქვეყნება. მკითხველებმა შარშან მიიღეს პირველი ტომი, შედგენილი მკვლევარ ი. ბოცვაძის მიერ, მისივე წინასიტყვაობითა და შენიშვნებით.

თხზულებათა პირველ ტომში შესულია 1868-1874 წლებში ს. მესხის მიერ „დროების" ფურცლებზე გამოქვეყნებული წერილები, დღიურები და კორესპონდენციები, რომლებშიც აღძრულია საქართველოს მაშინდელი ცხოვრების საჭირბოროტო და საზოგადოებრივი თვალსაზრისით მნიშვნელოვანი საკითხები. შემდგენელს მთელი ეს მრავალფეროვანი მასალა დაულაგებია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, რაც საშუალებას იძლევა სწორი წარმოდგენა შევიმუშაოთ ს. მესხის საინტერესო და ნაყოფიერ მოღვაწეობაზე.

პირველი ტომის განმსაზღვრელი პათოსია ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის იდეალი. როგორც დემოკრატი და განმანათლებელი, ცარიზმის კოლონიური ჩაგვრისაგან განთავისუფლების სწორ გზას ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების ამაღლებაში, სწავლისა და განათლების გავრცელებაში ხედავდა. „სახელმწიფოს ძალა მდაბიო ხალხია, — წერდა ს. მესხი 1869 წელს წერილში „რამდენიმე სიტყვა მდაბიო ხალხის აღზრდაზე და განათლებაზე," — ვერაფერი ვერ მისცემს რომელიმე ერს ისეთ ძალას, როგორსაც მისცემს განათლების გავრცელება ამ მდაბიო ხალხში... ჩვენი ახლანდელი და მომავალი კეთილდღეობისათვის ყველაზე უფრო საჭიროა ცოდნის შეძენა... ხალხის აღზრდა და სწავლა".

ლიტერატურისა და ხელოვნების დანიშნულებას იგი უპირველესად ხალხის სარგებლობის თვალსაზრისით განსაზღვრავდა.

კითხულობთ ს. მესხის წერილებს და გრძნობთ, როგორ ეხმაურება იგი დღევანდელობის დიდმნიშვნელოვან ამოცანებს, საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების როლის იმ სწორ გაგებას, რომელიც მოცემულია ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკებთან პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების შეხვედრის დროს. რამდენი გონივრული, პროგრესული მოწინავე აზრი და შეხედულება გამოხატული ამ პირველ ტომში! ამიტომ მკითხველი დიდი ინტერესით მოელის დანარჩენი ორი ტომის უახლოეს დროში გამოცემას, თუმცა არც ეს იქნება სავსებით საკმარისი.

ა. ვახტანგაძე

[illegible]

20 მარტს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების თბილისის საქალაქო განყოფილება სტუდენტთა ქალაქში ახალგაზრდობისათვის შექმნილ ლექტორიუმში (ი. ჭავჭავაძის პროსპ., № 35) აწყობს კითხვა-პასუხის საღამოს კიბერნეტიკის პრობლემებზე.

საღამოს პროგრამა:

ავტომატიკისა და კიბერნეტიკის ფიზიკური საფუძვლები — დოცენტი ბ. ქანთარია.

მათემატიკა და კიბერნეტიკა — პროფესორი დ. კვესელავა.

ტვინი და კიბერნეტიკა — პროფესორი ი. ბუალავა.

20 მარტს, საღამოს 7 საათზე, საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების თბილისის საქალაქო განყოფილების მუდმივმოქმედი ლექტორიუმი (ლენინის ქ. № 35) აწყობს პროფესორ ე. ნანობაშვილის საჯარო ლექციას თემაზე: „ქიმიის როლი კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში“.

ლექციის შემდეგ ნაჩვენები იქნება კინოფილმი.

შესვლა თავისუფალი.

1963 წლის 30 მარტს ერევანში შედგება სახელმწიფო 3% შინაგანი მოგებიანი სესხის მოგებათა 92-ე ტირაჟი

[illegible] ლოტარეიმეტ თანრიგზე

კინო

„კოლეგები“ — რუსთაველი, ამირანი, ისანი, საქართველო (წითელი დარბაზი), პლეხანოვის სახელობის კლუბი, ჭავჭავაძის სახელობის კლუბი.

„კაპიტან ლუას სიზმარი“ — ოქტომბერი, კოლხიდა.

„რომში ღამე იყო“ — სპარტაკი.

„ხუანა გალიო“ — თბილისი, კომკავშირელი, ოფიცერთა სახლი, დიდუბე, უაზბეგი (პირველი დარბაზი), კიროვის სახელობის პარკი.

„ორი მოთხრობა“ (თეთრი ქალიშვილი, ალავერდობა) — 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი), საქართველო (მწვანე დარბაზი), კომუნარების ბაღი, ნაკადული.

„სვლა მხედრით“ — 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი), კოსმოსი.

„ზღვის ბილიკი“ — გორკის სახელობის კულტურის სახლი, კოლმეურნე, უაზბეგი (მეორე დარბაზი).

„ბავშვი სახლში“ — გაზაფხული.

„ბაბეტა ომში მიდის“ — თანამგზავრი.

ნაზეთ თბილისის ეკრანებზე

ახალი მხატვრული ფილმი